სახალხო გაზეთი

№ 631 პარასკევი, 22 ივნისი, 1912 წ. № 631

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. —რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისავე ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახალი.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ზრდილს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

კნ. ელისაბედ რევაზის ასულის ვახვახიშვილის

გარდაცვალების შემდეგ მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქ. თელავში, სობოროში, კვირას, 24 ივნისს, წირვის შემდეგ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **შვილები** განსვენებულისა. (1.525.1)

ახალი კლუბი
(საზაფხულო თეატრი).

შაბათს, 23 ივნისს, კონცერტი.

მონაწილეობას მიიღებს საიმპერატ. თეატრის არტისტი **ი. ტომაშევიჩი** და სიმფონ. ორკესტრი **ს. ი. პრესმანის** მეთაურობით. **დასაწყ. საღ. 9 ს.** თეატრ. შეს. ფასი 50—25 კ., კლუბში შესვლისა—კაცები 50 კ., ქალები და მოსწავლენი 25 კ. (1—1306—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ქალთა ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხანოვი ბ. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.52)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართველოისა და დიდი მოურავის ამბები .	— 30 კ.
ჟორდანია, თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა წიგნი I.	3 მ.—
— იგივე წიგნი II. . . .	3 „—
რუსეთის დამყარება საქართველოში	— 20 „
სტატისტიკური ცნობები საქართვ. შესახებ მე-XVIII ს.	2 „—
ფრონელი. ამბოხება კახეთისა	— 60 „
— მთიულეთი	— 40 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ	3 „—
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-XIII ს.-მდე წ. I.	— 40 „
— იგივე წიგნი II . . .	1 „—
— იგივე წ. III	— 40 „
ქვარიანი, საქართ. მოკლე ისტორია	— 40 „
ქართველები სპარსეთში .	— 20 „
ჭავჭავაძე ილია. აი ისტორია	— 35 „
— სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი . . .	— 30 „
ჭყონია. ისტორ. ნარკვევი.	1 „ 50 „

გასაყიდათ მიღებული ახალი წიგნები:

ბესიკი. „კაზმ. სიტყვ." გამოც.	1 „ —
გრდემლი. სალიტერ. კრებ.	1 „ 50 „
თავდადებული ეჯიბი. ქართველი მეფე გლეხის ქოხში სტუმრად.	— 5 „
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	— 10 „
რჩეული თხზ. გ. ერისთავისა	— 60 „
დარვინიზმი. ნათ. ფანცხავასი	— 25 „
ექსპერიმენტალური პედაგოგიკა	— 75 „
ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურისა. კ. აბაშიძე	— 70 „
ივანე გვარამაძე	— 15 „
ბამბის თესვა-მოყვანა . .	— 5 „
კონრად კიფერი. ლ. ჯანდიერისა	25 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი	— 20 „
პლექი. მეგრაბიანცისა . .	— 30 „
ტატო წულუკიძე . . .	— 35 „
Кавказъ и памятники духовной культуры. Рѣчь Марра	— 20 „
ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. წ. I. მ. ქ. ყიფიანი	— 30 „
იგივე წ. II. ქართული ზმნის ძირი თერ. მ. ქ. ყიფ. .	— 10 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.69)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დათმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.
ბათუმში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

ქუთაისი

ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.18) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

დაარსებულია 1904 წ.

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს,** ქ. ტფილისს.

მიიღება დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი.

არ მიიღება სიპლექით დაავადმყოფებული, (25.1291.25)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 192)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—43)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.187)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდ. (25—1178—60)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—8)

დ. სამტრედიაში

—სადგურის პირდაპირ—

ახლად გაიხსნა საუცხოვოდ მოწყობილი რესტორანი

„ინტელიგენტი"

აზიურ და ევროპიულ სამზარეულოთი, ზომიერ ფასებში; თვიურად აბონემენტის ფასი: 2 თავისაგან 10 მან. 3—15 მან., 4 თავისგან 18 მ. ერთი ქიქა ღვინით.

პატივისცემით **დ. ჭანკოტაძე.** (4—1342—2)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 322)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. მოიპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რეაქციისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"

(წლ—1018—291).

ექიმი ივ. გომართელი

მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.21)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 5)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-კარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.130)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 1

ტფილისი, 22 ივნისი

სოფელი და მისი მოთხოვნილებანი.

ძალიან ბევრსა ვსწერთ და სიტყვიერადაც კწუწუნებთ ჩვენი ქვეყნის დაცემაზე. მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდებით ჩვენს ცხოვრებას, დაინახავთ, რომ იგი ერთს წერტილზე კი არ არის გაყინული, არამედ წინ მიდის. რომელ დარგშიაც უნდა შეიხედოთ, ცხოვრების რომელ გამოხატულებასაც უნდა დააკვირდეთ, ყველგან წინ მსვლელობას დაინახავთ. თუ ქართველი საზოგადოება მაინც უკმაყოფილებას აცხადებს, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ჩვენი სურვილები ბევრად გაიზარდა, ჩვენს თვითცნობიერებაშიც ცვლილება მოხდა. გაღვიძებულ თვითცნობიერებას ვეღარ აკმაყოფილებს ცხოვრების ნელი მიმდინარეობა და უნდა, რომ ცხოვრებამაც ისეთისავე ჩქარის ნაბიჯით იაროს, როგორც იგი მიდის. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას გადაჭარბებული წუწუნი ჩვენი დაცემის შესახებ. ჯერ ისევ ახლო წარსულში მრავალს საყურადღებო, ხშირად საბედისწერო მოვლენას ისე ჩაუვლია, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში კვალიც კი არ დაუტოვებია, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ამა თუ იმ მოვლენას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. მოიგონეთ თუნდა საეკლესიო საკითხი. დღეს კი იმავ საკითხის შედარებით უმნიშვნელო დეტალი დიდს რეაქციას იწვევს საზოგადოების შეგნებაში ღრმად იბეჭდება საზოგადოების ფართო მასაში, კუთხიდან კუთხემდე ინტენსიურად მუშაობს გრძნობა და გონება. სრულიად პატარა მოვლენაც კი, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ღრმად აღიბეჭდება ხოლმე ხალხის გონებაში.

ასეთს პირობებში, რა თქმა უნდა იბადება გრძნობა დაუკმაყოფილებლობისა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს ცხოვრება მართლაც ერთს წერტილზე იყოს გაყინული და წინ არ მიდიოდეს. გადაავლეთ თვალი, მაგალითად, ჩვენს სოფელს. ერთის შეხედვით თითქოს იქ არაფერი გამოცვლილა, მაგრამ ნამდვილად დღევანდელი ჩვენი სოფელი ის აღარ არის, რაც თუნდა ამ რამდენიმე ათი წლის წინად იყო. სრულიად შეიცვალა როგორც სოციალური, ისე სულიერი სახე სოფლისა. დასავლეთს საქართველოში კარგა ხანია გლეხ-კაცობა დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევა. ამასვე ვხედავთ ეხლა ქართლსა და კახეთში. გლეხი-კაცი ეხლა აქ უკვე დამოუკიდებელი მეურნეა და ამიტომ თან ახლავს დამოუკიდებელ მეურნის ყველა ატრიბუტი.

ჩვენი სოფელი წინ მიდის, მაგრამ მას მაინც დახმარება სჭირია. საუბედუროდ წყეული ობიექტიური პირობები შესამჩნევად ხელს უშლიან ჩვენი სოფლის ნორმალურ განვითარებას, მაგრამ ეხლანდელ პირობებშიაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება და აი სწორედ აქეთკენაც უნდა იყოს მიქცეული გულის ყური ყველასი, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის წარმატება ჰსურს.

ჩვენი სოფლის არსებობის საფუძველს სასოფლო-მეურნეობა შეადგენს. მაშასადამე, საჭიროა საქმე ისე მოეწყოს, რომ გლეხმა რაციონალურს ნიადაგზე დააყენოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და გაყიდვა, ბაზარზე გატანა. მრავალი საშუალება არსებობს ყველა ამ საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ გვინდა კვლავ მიუთითოთ იმ საშუალებაზე, რომელზედაც ჩვენში დღემდის თეორეტიულად მსჯელობდნენ და რომელსაც ამ ჟამად უკვე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. კოოპერაციებზე მოგახსენებთ. ჩვენში განსაკუთრებით საკრედიტო ამხანაგობებმა მოიკიდეს ფეხი. ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბანკმა ფულის გაცემა დაიწყო. მრავალი საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა ჩვენში და უეჭველია შემდეგში უფრო მეტი დაარსდება. საკრედიტო ამხანაგობებს თავის თავადაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ იგი მხოლოდ ერთი ფორმაა კოოპერაციისა. უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მწარმოებელსა და მომხმარებელ კოოპერატიულ ამხანაგობებს. საკრედიტო დაწესებულებანი უეჭველია შეამზადებენ ნიადაგს და გზას გაუკვლევენ მეორეებს. პროვინციიდან მოსულ ცნობებითა სჩანს, რომ, მაგალითად, მომხმარებელ კოოპერატიულ ამხანაგობათა აზრი თავის თავად იბადებოდა ისეთს სოფლებში, სადაც საკრედიტო ამხანაგობანი არსებობს. ერთხელ ამუშავებული აზრი არასოდეს არ მოკვდება. საჭიროა მხოლოდ გულწრფელი და შრომის მოყვარე მეთაურნი, რომელნიც დაეხმარებიან სოფელს და თავისი შრომით სასურველ მიმართულებას მისცემენ ამუშავებულ აზრს. კოოპერაციის იდეის საპროპაგანდოდ ძა-

ლიან დიდი შრომა არ არის საჭირო. დღეს უმთავრესად საჭიროა პრაქტიკული საქმიანობა. ვისაც ძალღონე შესწევს და სურვილი აქვს ხალხის სამსახურისა, სამუშაოს ბევრს იშოვნის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მესამე სახ. სათათბირო ისტორიას ჩაბარდა. დადგა ხანა ახალი არჩევნებისა და დატრიალდა გრძნეული ბიუროკრატული მანქანები სხვა და სხვა „განმარტებათა და დამატებათა“ დასამზადებლად, რათა მოსალოდნელი „წითელი ელიმენტი“ კონტრაბანდული გზითაც კი ვერ შეიპაროს მომავალ „საკანონმდებლო პალატაში“.

განსაკუთრებით გაცხარებულ მუშაობაშია შინაგან საქმეთა სამინისტრო და უწმ. სინოდი.

აი რასა სწერს ამ მუშაობის შესახებ „რუსკოე სლოვო“:

„შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ეს საზოგადო სახელმწიფოებრივი საქმეა, სინოდისათვის კი—საოჯახო. მთელს რუსეთში შინაგ. საქმ. სამინისტრო საგანგებო სანდო პირებისაგან ჰკრებს ცნობებს არჩევნების შესაძლებელი შედეგის შესახებ.

— გვემუქრება თუ არა მემარცხენე საფრთხე?

იმ ადგილებისათვის, სადაც ასეთი რამ შესაძლებელია, შეკრებილი დაწვრილებითი ცნობების მიხედვით, და არა საიმედო ამრჩევლების სიის ზედ დამატებით, მზადდება საგანგებო „განსამარტები“ ცირკულიარები.

მორიგ განსამარტებელ საკითხად, ალბად, ნაციონალური კურიები შეიქმნება, რადგან სამინისტრო განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს საეროზბო და ქალაქის თვითმართველობათაგან, რომ ამომრჩევლების სიებში ნაჩვენები იყოს თითოეული ამრჩევლის ეროვნული სახე.

ის, რაც ამ უკანასკნელ დღეებში გაკეთებულა, მაგ. განმარტებითი ცირკულიარი ებრაელების ცენზის შესახებ, ალბად მხოლოდ დასაწყისია განზრახული კომპანიისა.

საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განმარტებანი მისწვდებიან როგორც ყველა ეროვნებას, ისე მუშებსა და გლეხებს რომელთა ოპოზიციონერობაშიც ეჭვის შეტანა შეიძლება.

სამინისტროსთან ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობს სინოდიც.

მაგრამ მას ნაკლებ აინტერესებს არჩევნების შედეგი, მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მამები გაიყვანოს სათათბიროში. სინოდის მოქმედების სისტემა იგივეა, რაც სამინისტროსი. საეროზბო უფროსების როლს ცნობათა მიწოდების საქმეში ბლაღოჩინები ასრულებენ, ხოლო საგუბერნიო სამართველოთა მაგიერობას ეპარქიალური საბჭოები ეწევიან.

მაგრამ, სიმართლე უნდა ვსთქვათ, სინოდის მუშაობა უფრო ფართოდაა დაყენებული. სახელმძღვანელო დირექტივების მიცემის გარდა, სინოდის დესპანები გაძლიერებულ აგიტაციას ეწევიან ქადაგებისა და მოწოდებათა საშუალებით.

განსაკუთრებული ყურ დღებ ციმბირზეა მიპყრობილი, სადაც მოღვაწეობს დეკანოზი ვოსტორგოვი.“

ამნაირად, მუშაობა გაჩაღებულია მთელს ფრონტზე და ვინ იცის, რა გვარს კალაპოტში ჩადგება ვოსტორგოვების მიერ აღელვებული საარჩევნო ნაკადი. ერთი რამ კი ცხადის უცხადესია, სახელდობრ ისა, რომ მეოთხე სახელმ. სათათბიროს თაიგულს ერთი სურნელოვანი ყვავილიც მიემატება—კლერიკალიზმი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიის შემდგენელი შტატი**, როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა. სულ შტატში 400 მთხოვნელისგან 31 კაცი მიიღო. ამათში 10 ქართველია: ტ. მ. ავალიანი, ლ. მ. კემულარია, კ. ქუმსიშვილისა, ე. ვ. ლომთათიძე, ე. რ. ნაცვლიშვილისა, ე. ნ. ფურცელაძე, ა. ი. საგინაშვილი, ს. ა. ხარაძე, ა. ი. წულაძე და მ. ა. ჩუბინიშვილისა. მათ კანდიდატებად 26 კაცი ჩაირიცხა. მათში 9 კაცი ქართველია: პ. დ. ბერეჟიანი, მ. გ. ვაჩნაძე, ტ. ი. ჯორჯაძე, ი. გ. ირემაშვილი, პ. ა. კალანდაძე, მ. დ. ნემსაძე, ვ. ს. საბიაშვილი, მ. გ. ხუციშვილისა და ნ. ნ. ცერცვაძე.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა: მსახიობებს, რომელთაც 25 წელი აქვთ ნამსახური, დაენიშნოთ ჯამაგირი მთელი წლის განმავლობაში პენსიის დაგვარად. ამ ჟამად როგორც ვიცით მხოლოდ ვ. ა. აბაშიძე იღებს ასეთ ჯამაგირს. რასაკვირველია, ეს ჯამაგირი არ იქნება ნამსახურის შესაფერი, მაგრამ შეძლებას მისცემს მსახიობს სეზონის შემდეგაც ადამიანურად იცხოვროს.

◆ **კახეთის რკინის გზა.** ამ ჟამად კახეთის რკინის გზაზე წინასწარი მუშაობა სწარმოებს, დასრულდება ამ თვის ბოლოს. 1 ივლისიდან მუშაობა ყველგან ოფიციალურად დაიწყება.

◆ **შავის ზღვის მხრის შესასწავლად** ტფილისიდან გაემგზავრნენ ბოტანიკურ ბაღის სპეციალისტები: ა. ნ. დანილოვი, გ. ს. ნევოდოვსკი, ი. ნ. ვორონოვი და დ. ი. სოსნოვსკი.

◆ **ქალაქის გამგეობის შენობას მესამე სართულს ადგამენ** ერევნის მოედნისა და ველიამინოვის ქუჩის კუთხის მხრიდანა. ამას გარდა განზრახულია, საბჭოს დარბაზს ორი სხვა დარბაზი მიადგან: ერთი—საბჭოს მდივნისთვის, მეორე კი—საბჭოს კომისიებისთვის.

◆ **ხორცის სიძვირემ** კვლავ თავი იჩინა. მართალია ქალაქის გამგეობამ გირვანქაზე 2 კაპეიკი დაუკლო, მაგრამ ყასბებმა სხვა საშუალებას მიმართეს: საქონელს ცოტასა ჰკლავენ და ხორცს 12 კაპ. ნაცვლად 15—16 კაპეიკად ჰყიდიან.

◆ **ტფ. ბოტანიკური ბაღი** პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე 30,000 კაცს დაუთვალიერებია.

◆ **წვიმა და ნიაღვარი.** 19 ივნის, ღამით, დიდი წვიმა მოვიდა, რომელსაც საშინელი ნიაღვარი მოჰყვა და მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა. სხვათა შორის, ვერაზე პეტროვის ქუჩა ისე ძალიან დახრამა, რომ იქ გავლა საძნელოა.

◆ **დამხრჩვალი გვამი.** 17 ივნისს, ნემეცების ახალშენთან, მტკვრის პირად, დამხრჩვალ ყმაწვილის (13—14 წლისა) გვამი იპოვეს. როგორც გამოარკვიეს, იგი სოფ. ძეგვში ბანაობის დროს, დამხრჩვალა, ვინაობა ვერ გამოარკვიეს.

◆ **მომავალ სეზონისათვის** განზრახულია ტფილისში მოიწვიონ რეჟისორად ზ. ქორიძე. მოწვეული იქნება აგრეთვე მ. ჩხეიძისა. მათთან მოლაპარაკება გამგეობამ უკვე დაიწყო. სეზონი დაიწყება სექტემბერში და ექვს თვეს გასტანს.

◆ ს.-პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს გამგეობამ ქართულ თეატრის თერძს ზ. ქოქოძეს შეუკვეთა ქართული ტანისამოსი (ქულაჯები, ქათიბები და სხვა) სულ 375 მანეთისა. ეს ტანისამოსი საჭიროა ქართულ საღამოებისათვის და ქართულ წარმოდგენებისათვის, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის მეოხებით დრო გამოშვებით იმართება პეტერბურგში.

◆ კვირას, 24 ივნისს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ბ-ნი მ. ტოროშელიძე ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედება და მისი თანამედროვე მნიშვნელობა“.

◆ **ქალაქის სადეზინფექციო კამერას** წარსულ მაისის განმავლობაში დეზინფექცია უქმნია 76 სადგომისა და 2,075 ცალი სხვა და სხვა ნივთისთვის.

◆ **ათაშანგიანთა საქალაქო საავადმყოფო** ამ ჟამად დახურულია. მოქმედებას დაიწყებს მხოლოდ მომავალ აგვისტოს ბოლო რიცხვებში, როდესაც ახალს შენობაში იქმნება გადატანილი. ავადმყოფებს დროებით მიხეილის საავადმყოფოში მოათავსებენ.

— ათაშანგიანთა საავადმყოფოში წარსულ მაისის პირველს ყოფილა 58 ავადმყოფი. თვის განმავლობაში მისულა 14 ავადმყოფი კაცი, 8 ქალი და 1 ბავშვი. თვის ბოლოს ყველა ავადმყოფი გამოუწერნიათ საავადმყოფოდან.

◆ **მტკვარში დაიხრჩო** 20 ივნისს საჩხერის მცხოვრები ივანე იოსების ძე ბურძენიძე, 16 წლისა.

◆ **შეიპყრეს** ერევნის მოედანზე 16 წლის ქალი თამარა ივანეს ასული იმსაშვილი, რომელსაც კარბოლის სიმჟავე უნდა შეესხა შოფერ ალექსანდრე ელიოზიშვილისათვის.

◆ **არქიმანდრიტი ნაზარი**, საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინი, ქვათახევის მონასტრიდან დაბრუნდა, სადაც რევიზიისათვის იყო წასული.

◆ **ქალაქის ყველა სამკურნალოში** წარსულ მაისის განმავლობაში სულ 9,128 გარედან მოსიარულე ავადმყოფი ყოფილა. სულ მისულან 17,979-ჯერ.

◆ **მიწათ-მომქმედ დეპარტამენტმა** 976 მანეთი გადასდო ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან კონსერვების გასაკეთებელ სახელოსნოს მოსაწყობად.

◆ **ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ** დაადგინა: დაამტკიცოს ქალაქის საბჭოს 1912 წლის 15 მაისის დადგენილება, რომ დაგირავებულ იქმნას 20,000 ოთხკ. საჟენი ქალაქის მიწა და მშობიარეთა თავ-შესაფარი. მიღებულ ფულით აპირობენ ახალ შენობის აგებას. ამასთანავე საკრებულომ განმარტა, რომ შემდეგში დაგირავებულ იქმნას თავ-შესაფარის შენობა და მამული. ამ ფულით დაიფაროს სესხი. სესხი კი თან და თან გაანაწილონ საჭიროების მიხედვით.

◆ ტფილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ საენტომოლოგიო (მცენარეების ავადმყოფობის გამომრკვევი და მებრძოლი) კაბინეტს გამოუკვლევია და ურჩევს მსურველებს ხეხილის მატლების წინააღმდეგ „ბორდოსკის სითხე“ იხმარონ. შემდეგი წესით: პირველად უწამლონ ყლორტების გამოტანის დროს, მეორედ აყვავების წინ, მესამედ, აყვავების შემდეგ კი, სამჯერ 12—14 დღის დასვენებით.

◆ 20 ივნისს, რკინის გზის გაღმა, ბარბარე ზაქარიას ასულ ეჯვიშვილის სახლში იპოვეს ბავშვი, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით სამის თვისა. იქვე ეგდო ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი შემდეგის შინაარსისა: „გთხოვ, ბავშვი კარგად შეინახოთ. გლეხია. სამის თვისა. ნუ მოჰკლავთ“. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ 18 ივნისს ტფილისში შეიპყრეს პეტრე ისაკას ძე სუგიევი, რომელსაც ზოგიერთი ღირსება ახდილი ჰქონდა და გორში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ ტფილისში ნებადაურთველად ჩამოვიდა.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ გრიგოლ ნაუმენკო და ალექსანდრე დმიტრიენკო.

საზოგადოებანი და კრებები.

◆ **სატეხნიკო საზოგადოების** კრება ხვალ, 23 ივნისს, მოხდება.

◆ **ქალაქის სარევიზიო კომისიის** კრება 20 ივნისს მოხდა კომისიის მდივნის ასარჩევად, კომისია კუშნირის კანდიდატურაზე შეჩერდა.

◆ ქ. შ. წ. კ. გამავრც. უმთავრეს საზოგადოებამ გამოსცა დიდი სურათი იაკობ გოგებაშვილისა „ბრისტოლის“ სქელ ქაღალდზე. ცალის ფასია 50 კ. ვინც 5 ცალს იყიდის დაეთმობა 20%; ვინც 25 ცალს იყიდის, დაეთმობა 25%; ვინც 50 ცალზე მეტს, დაეთმობა 30%.

სასწავლებლებში

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა სექტემბრიდან ტფილისში დრამატიული კურსები მოაწყოს, რომლის დირექტორად ვ. ალექსი-მესხიშვილი ინიშნება. თუ შეძლება ხელს შეუწყობს, გახსნიან აგრეთვე სომხურსა და რუსულ განყოფილებებსაც.

◆ **პროგიმნაზია ავლაბარში.** 20 ივნისს ავლაბრის მომავალ პროგიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს პირველი კრება მოხდა. საბჭოს თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ექიმი ი. ს. იგიტიანცი, მის ამხანაგად და ხაზინადრად—ს. ი. ფორაქიშვილი და მდივნად ი. ტ. კოშკარევი. ამავე კრებაზე პროგიმნაზიის სასარგებლოდ შესწირეს: ს. ნ. ნუნუპაროვმა—1000 მან., ბ. ლ. არუთიუნიანმა—500 მან., ს. ი. ფორაქიშვილმა—300 მან., ი. ნ. კვეზერელმა-კოპაძემ—300 მან., გ. ბ. ნახშუმოვმა—300 მან., ექიმმა იგიტიანცმა—200 მან., და ავლაბრის კლუბმა 1000 მან. აჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეწირულებათა მიღება და პროგიმნაზიისთვის სადგომის მოძებნა.

სასამართლო.

◆ **თავ. უჩა დადიანის საქმე.** გუშინ, კავკავში ტფ. სამოსამართლო პალატის სესია პალატის უფროს თავმჯდომარის ნ. ნ. ლაგოდას თავმჯდომარეობით უვანათლებულის თავადის უჩა დადიანის საქმის გარჩევას შეუდგა. თავ. დადიანს სხვებთან ერთად თავ. ალექსანდრე დადეშქელიანის მოკვლა ბრალდება.

გორი

◆ 15 ივნისს ადგილობრივ სასულ. სასწავლებლის შენობაში მღვდ. ნიკოლოზ ხუციშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა ჩვეულებრივი წლიური კრება გორის მაზრის სამღვდელოებისა. კრების მონაწილეთ კვირას, 17 ივნისს, ოქონის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. კრებაზე პრესის წარმომადგენელნი არ დაუშვეს, რადგან სხდომები კარებ დახურულში იმართება. განზრახულია ამ ორ დღეში გაიგზავნოს ტფილისში დეპუტაცია საკუთარ საქმეებისა გამო სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსაძვრელად. კრება დეპუტაციის დაბრუნებისას დაიხურება.

◆ რამდენიმე პირს გადაუწყვეტია, შეადგინონ სცენის მოყვარეთა დასი ტფილისის ქართულ თეატრის ერთ-ერთ მსახიობის მეთაურობით. ეს დასი [illegible] ქართულ წარმოდგენებს ზაფხულის განმავლობაში.

ტფილისის მაზრა

◆ **თავის დახრჩობა.** თავი დაიხრჩო მდინარეში ალბულაღის მცხოვრებმა ალაზგ მესროპოვმა, 22 წლისამ, რომელმაც ბარათი დასტოვა, ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ, სიცოცხლე მომბეზრდაო.

ბათომი

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს მიმდინარე წლის შემოდგომაზე საოლქო გამოფენა მოაწყოს ქ. ბათომში, ან შეუერთდეს დონის-როსტოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამოფენას, რომელიც შესდგება 10-დან 26 ოქტომბრამდე. მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ საზოგადოების კანტორაში (შეპელევის ქუჩა, სახლი № 26); სადაც შეიძლება ექპონენტების საწერა. მონაწილენი გაიღებენ მხოლოდ გამოფენილ საგნების გადასატან ხარჯს, გამოფენაზე ადგილისათვის კი არაფერს არ იხდიან.

სოფლად

◆ როგორც გვატყობინებენ, ამ რამდენიმე დღის წინად სოფ. ტირძნისი, ტყვიავი და სხვ. დაუსეტყვია.

◆ **ს. მცხეთა** (დუშეთის მაზრა). უკვე შეუდგნენ მუშაობას ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფეთათვის საზაფხულო შენობის ასაგებად. კოლონია გაიხსნება გაისათ გაზაფხულზე.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 19 ივნისს, ზუგდიდში ხუთი შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა აბრეშუმის თესლის საშრობ ქარხანას. მოჰკლეს ქარხნის პატრონი იმამოვი და გამგე შარირიკვი. ერთი დასჭრეს. წაიღეს 10.000 მან. უცნობნი შეიპყრეს. გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ბერდანკები პატრონებით. გვამების ტფილისში წასაღებად მოკლულთა ნათესავები ჩამოვიდნენ. აბრეშუმის თესლის ოპერაცია ზუგდიდში კვლავ გრძელდება.

ქუთათელაძე.

გურია

მეურნეობა. მევენახეობა. მეხილეობა. მეაბრეშუმეობა. სკოლები.

გურიის აწინდელი მდგომარეობა ვერაფერ სანუგეშოს ეუბნება დაკვირვებულ ადამიანის გონებას.

ვინმე უცხოელმა რომ შემოიაროს ჩვენი კუთხე და გაეცნოს მეურნეობის წესებს, რომელიც თითქმის პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია, უე-

წარსულიდან

ჩემი მოგონებანი.

2

1888—1895 წ.წ.

VI.

(გაგრძელება *)

ვისაც კენანის ცნობილი თხზულება წაუკითხავს, ეხსომება, ალბად, ეს ღვთისა და კაცისაგან მივიწყებული, გადაყრუებული, ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებისაკენ მიგდებული ქალაქი. ახლაც, როცა ციმბირში რკინის გზა მუშაობს, იგი დაშორებულია უახლოეს რკინის გზის სადგურს (ომსკი) თითქმის ათასი ვერსით (970 ვერსი), მაშინ კი უსტკამენოგორსკი მოწყვეტილი იყო არა თუ რუსეთს, ციმბირის მთავარ ქალაქებსაც. პეტერბურგის და მოსკოვის ფოსტა 18—19 დღეზე ადრე ვერ მოგვდიოდა, ტფილისიდან გაზეთებს 24 დღის შემდეგ ვიღებდი. ეს ზაფხულსა და ზამთარში, ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა გზები ფუჭდებოდა, ხშირად თვეობით ვისხედით უფოსტოთ. ტომსკის გაზეთებიც კი 8—9 დღეზე ადრე ვერ მოგვდიოდა. თვით ქალაქში, რასაკვირველია, არავითარი ნიშანწყალი საზოგადოებრივ და უბრალო კულტურიან ცხოვრებისა არ იყო. სულ ქალაქში ითვლებოდა მაშინ ექვსი ათასი მცხოვრები მოქალაქენი, წვრილი ვაჭარ-ხელოსანნი; ინტელიგენციას შეადგენდა: ერთი მომრიგებელი მოსამართლე, ორი სამხედრო და ერთი კერძო ექიმი, ერთი ვეტერინარი, ორი-სამი მასწავლებელი ადგილობრივ დაბალ ს.-სამეურნეო სკოლისა, ერთი აქციზის მოხელე და რამდენიმე კაზაკი-აფიცერი და რამდენიმე მღვდელი, სულ ერთად 15—16 კაცი. ამათში დიდ უმეტესობას ადამიანობისა არაფერი შერჩენოდა, სამსახურის საქმეების საცოდავად ასრულების შემდეგ მთელ დროს განუწყვეტელ ლოთობაში ატარებდნენ; არავითარი ინტერესი სულიერ ცხოვრებისადმი იმათ აღარ ჰქონიათ, ყველაფერი ადამიანური და კულტურული დაეკარგათ ამ მიყრუებულ ადგილას დიდის ხნით ცხოვრებითა. მხოლოდ სამს შერჩენოდა კიდევ ძველებური ადამიანობა და ესენიც განდგომილ ბერებივით ცხოვრობდნენ კარჩაკეტილნი.

ერთი იყო აქციზის მოხელე მიხაელისი. ეს ის მიხაელისი იყო, სპასოვიჩი რომ იხსენიებს თავის მოხსენებებში და რომელზედაც ამბობს: ფრიად ნიჭიერი სტუდენტი მიხაელისი იყო შემაერთებელი ხიდი მაშინ (60 წლების დასაწყისში) უნივერსიტეტსა და პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციის შორისაო; იმის მაჯისცემაზე ვტყობილობდით ჩვენ ახალგაზრდობის სულიერს მისწრაფების მდგომარეობასაო. მიხაელისი მაშინ გადაასახლეს ციმბირში, იქ სამსახურში შევიდა და იქვე დარჩა სამუდამოდ. ძველ დროისა შერჩენოდა სამაგალითო სიყვარული მეცნიერებისადმი (ბუნების მეტყველება); მოსდიოდა უცხოეთისა და რუსული სამეცნიერო ჟურნალები, იწერდა ყველა ახალ წიგნს და დღე და ღამეს კითხვაში ატარებდა. მეორე იყო ექიმი პიტკევიჩი, პოლონელი, რომელიც 1863 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო იყო აქეთ გამოგზავნილი. ესეც სულ კითხულობდა, განვითარებული კაცი იყო, მაგრამ კარჩაკეტილი ცხოვრობდა და როგორღაც ცხოვრებისა ეშინოდა. ბოლოს მოვიხსენიებ კაზაკის აფიცერს ბარანოვს, რომელსაც კენანიც ასახელებს, როგორც თავის ჩიჩერონეს პოლიტიკურთა კოლონიაში. ეს აფიცერი ძალიან განვითარებული და მოწინავე იდეების კაცი იყო, სულ პოლიტიკურებთან ცხოვრობდა, რისთვისაც, როგორც შემდეგში გავიგე, დაისაჯა კიდეც: სამსახურიდან დაითხოვეს და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლესო... პირველ ხანებში ყველა ამ „გარეშეებთან“ გვქონდა ჩვენ, პოლიტიკურებს, ურთიერთობა, მაგრამ შემდეგში ორიოდ-სამიოდეს გარდა ყველას დავშორდით, რადგან საერთო არა გვქონდა-რა მათთან.

პოლიტიკურები იმ ხანებში უსტკამენოგორსკში ვიყავით თუთმეტამდე კაცი: ერთი საშუალო სასწავლებელში მასწავლებლად ნამყოფი, ერთი ფარმაცევტი, ორი მუშა პოლონელი (ცნობილი პროცესსის „პროლეტარიატის“ მონაწილენი), ერთი რუსი მუშა (ოდესელი მჭედელი), დანარჩენნი სტუდენტები. ამათში უმთავრესად ორმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ერთი იყო პეტერბურგის სტუდენტი ვატსონი, შვილი სამოციან წლებში ცნობილ რუსის მწერლისა „სოვრემენნიკ“-ის მთავარ თანამშრომლის ვატსონისა. როგორც შემდეგში გავიგე, ამ სტუდენტის დიდი იმედი ჰქონდათ პეტერბურგში. ჰფიქრობდნენ, გამოჩენილი მეცნიერი და ლიტერატორი დადგებაო. ბევრს მეცადინეობდა, ბეჯითად ემზადებოდა სამეცნიერო მოღვაწეობისთვის. მართლაც, ძალიან განვითარებული ახალგაზრდა იყო და ამასთან ყველა ევროპიული ენა მშვენივრად იცოდა. მე რომ გავიცან უსტკამენოგორსკში, მაშინ სთარგმნიდა ინგლისურიდან ჰენრი ჯორჯის თხზულებებს, რაიც პეტერბურგიდან ერთმა გამომცემელმა ფირმამ შეუკვეთა. თან მეტად ცოცხალი და სიმპატიური ადამიანი იყო. მაგრამ, დახეთ, რა ბედი ეწვია უბედურს! მალე გადაიყვანეს პოსადზაისანში, ჩინეთის საზღვარზე, სადაც სრულებით მარტო იყო ველურ კაზაკებსა და ყირგიზებში. საშინლად იტანჯებოდა მარტოობით და მიისწრაფოდა რუსეთში. პეტერბურგში ბევრს ეცადნენ მის გადაყვანას სადმე რუსეთში, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ერთი წლის შემდეგ საცოდავს ჭლექი აღმოაჩნდა და სასოწარკვეთილებისაგან მიჰყო ხელი არაყის სმას. რამდენიმე თვის შემდეგ უბედური დილა ადრიანად იპოვეს ქუჩაში გაყინული. ასე უდროოდ უცბად გამოესალმა წუთისოფელს ახალგაზრდა, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა. რამდენი ასეთი მსხვერპლი შეიწირა რუსეთის ბედუკუღმართმა ისტორიამ!..

მეორე იყო კიევის სტუდენტი, უფროს კურსის იურისტი, პოლონელი ხრისტინ დომბროვსკი. ამას არაფერი სწამდა არა-თუ რუსეთის რევოლიუციისა, არამედ პოლონეთის აღორძინებისაც. იმის წარმოდგენით, იყვნენ რასები დაბადებითვე ბატონები და დაბადებითვე ყმები-მონები. პირველნი ყველაფერში და უმთავრესად სახელმწიფოს შექმნაში იჩენენ აქტიურ შემოქმედებითს ძალასა და ნიჭსა, მეორენი ყველაფერში სუსტნი არიან, ხოლო სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი ძალა სრულებით არა აქვთ. სლავიანები საერთოდ მონების რასა არის, პასიურნი და სრულიად მოკლებულნი სახელმწიფოებრივ ნიჭსაო.

— ვიცი, ამბობდა დომბროვსკი, თქვენ მიმითითებთ აღმოსავლეთ სლავიანებსა—რუსებზე, რომელთაც შექმნეს უზარმაზარი იმპერია. მაგრამ ეს ვერაფერს ამტკიცებს. ოდესღაც პოლონეთი არა ნაკლებ ძლიერი და უზარმაზარი სახელმწიფო იყო: ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული, მფლობელი მრავალ ხალხებისა, უძლიერესი სამეფო მთელ შუა ევროპაში, რომლის წინაშე ყველა მეზობლები თრთოდნენ. სადღაა ეხლა ეს სამეფო... საქმე საზღვრების გაფართოება კი არ არის—ეს გარეგანი და მოჩვენებითი ძალაა; საქმე სახელმწიფოებრივ შემოქმედებაა, რომელმაც შინაური ძალები უნდა გაამაგროს და შექმნას მთლიანი, მაგარი სულით, სახელმწიფო ერთ განსაზღვრულ საეროვნო-სახელმწიფოებრივ იდეა-მისწრაფებით, რომლის შინაარსი ყველას ესმის და სწამს და რომლის დასაცავად მზადაა თავი გასწიროს. ასეთი შინაგანი ძალა არ ჰქონია პოლონეთს; იგი ძლიერი იყო და საშიში გარეშეებისთვის მხოლოდ დროებით, რადგან შინ დღითი-დღე იხრწნებოდა და იშლებოდა. ამბობენ და ჭეშმარიტებად მიაჩნიათ ის აზრი, რომ პოლონეთი მისმა არისტოკრატიამ დაღუპაო, იგი ფეხით სთელავდა ხალხს და თავის ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს მაღლა აყენებდა მთელი ერის კეთილდღეობაზეო. ეს მართალია, მაგრამ ერთობ ზერელე ახსნაა პოლონეთის უბედობისა. საქმე ისაა, რომ თვით ხალხი, თვით ერი იყო უძლური, დაავადებული, მონა იმ თავითვე, თორემ განა ევროპის სხვა ერებს უკეთესი არისტოკრატია ჰყავდათ, განა სხვა ერებსაც არ განუცდიათ ამგვარივე ხანა? მაგრამ ისინი აქტიური შემოქმედებითი ხალხნი იყვნენ და მოახერხეს არისტოკრატიის შეზღუდვა და სახელმწიფოს ხსნა. პოლონეთის ერი-კი, როგორც სლავიანთა რასსა, პასსიურია და სახელმწიფოს შექმნისათვის უძლურია... ასეთივეა რუსის ხალხი. თავის ისტორიულ ცხოვრების დასაწყისში ვარიაგები მიიპატიჟა სახელმწიფოს შესაქმნელად, მერე მონგოლებს დაემორჩილა 200 წლით, ეხლა... ეხლა ერთ მუჭა ბიუროკრატიასა და თავად-აზნაურობას, მორჩილება, რომელთა ბატონობა ხრწნის და ძირს უთხრის სახელმწიფოს არა ნაკლებ, ვიდრე ამას პოლონეთის არისტოკრატია სჩადიოდა. რუსის ხალხი უფრო მეტად მონაა ბუნებით, ვიდრე პოლონეთისა; ის ისეთისავე გულგრილობით დაემორჩილება ბედს, როცა მის სახელმწიფოს გარეშე მტრები დაანგრევენ, როგორის პასსივობით დღეს ემორჩილება დესპოტიურს მთავრობას. მისი სხვა და სხვა ნაწილები და სხვა ერები გაერთიანებულნი არ არიან არაფრით, არავითარ საერთო იდეით; ყველანი ერთმანეთს მტრულად უცქერიან და რუსის ხალხს არა აქვს შემოქმედებითი ნიჭი, ეს ნაწილები გააერთიანოს და თავიც დაიხსნან იმ უზურპატორთაგან, რომელთა ბატონობა განუწყვეტელი დაცინვაა და გახრწნაა.

— თქვენ ამბობთ, განაგრძო დომბროვსკიმ ჩემს შენიშვნაზე, ინტელიგენცია, განათლებული საზოგადოება, ლიტერატურაო. მაგრამ გაიხსენეთ, რომ რუსის ხალხის უპირველესი გენიოსები მორჩილების მქადაგებელნი და მადიდებელნი არიან. ტოლსტოი ასწავლის რუსებს—ბოროტების წინააღმდეგ ძალას ნუ იხმართო, დოსტოევსკი უქადაგებს—თავი დაიმდაბლე ამაყო ადამიანოო. არიან სხვა მწერლებიც, მაგრამ ისინი გა-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 630

ქველად გაოცდება. გურიაში ვერ ვამჩნევთ იმ ინტენსიურ მუშაობას ნივთიერ კეთილდღეობის განმტკიცების სარბიელზე, რომელიც აგრე ეტყობა და ახასიათებს სხვა დაბა-ქალაქების ცხოვრებას. აღმოსავლეთ საქართველოს თავისებური ბუნება თუმცა ხელს უწყობს სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენა-გაუმჯობესება, მაგრამ არც დასავლეთ საქართველოს ბუნებაა ამისათვის სრულიად გამოუსადეგარი. წყლის პირა დაბა, სახნავი ადგილები, გურიასაც ბევრი მოეპოვება. მდ. სუფსას და ნატანების ნაპირები აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე შუაზე სჭრის გურიის მთა-გორაკიან ადგილებს და გარშემო მშვენიერი საძოვარი და სახნავი მინდვრები აკრავს. მაგრამ დღემდე ერთ მაგალითს ვერ შეხვდებით, რომ ვინმე ცდილიყო რაიმე სამეურნეო იარაღის შემოღებას. ჩვენი მამა-პაპური კავი და გუთან-სახნავი კი, თანამედროვე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. მიწასაც სიწოყივრე აკლდება. მუშაობს გურული გლეხი, ოფლში იწურება, მაგრამ მისი ნაამაგევი მას არა ყოფნის და სხვა ბევრი მოთხოვნილება კი ღვთის ანაბარადაა მიტოვებული.

მევენახეობა, მას შემდეგ, რაც შუშხუნა ჩხავერმა, მხოლოდ ტკბილი მოგონება დასტოვა გურულის მეხსიერებაში, არ შეადგენს შემოსავლის წყაროს გურულისათვის. მხოლოდ ოთხი თუ ხუთი საზოგადოება აყენებს საყოფზე მეტს „ადესას“ გურიაში და იმასაც ადგილობრივ მცხოვრებლებზე თუ ჰყიდიან, თორემ სხვა კუთხეში გატანა ამ ღვინისა შეუძლებელია, რადგანაც გადატანის დროს ფუჭდება იმღვრევა და ამასთან ვერც ერთ ღვინოს საქართველოში თავის ღირსებით, მეტოქეობას ვერ გაუწევს. ბოლო ხანებში ხელი მიჰყვეს ამერიკულ ვაზის გაშენებას, მაგრამ ჯერ კიდევ შეუძლებელია რაიმე ითქვას ხსენებულ ჯიშების კულტურის მომავალზე. ფრიად ხელი შეუწყო ჩვენში ამ დარგის დაწყებას საქარის სამეურნეო სასწავლებელმა. იქ სწავლა-მიღებულნი მრავლად მოიპოვებიან. დღეს გურიაში შეძლებისა და ცოდნის დაგვარად ხელს უწყობენ მევენახეობაზე სალი პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას.

მეხილეობასაც არ უჭერია დიდი ადგილი გურულის ცხოვრებაში. ბევრი მსხალი და ვაშლი ხეზევე ლპება, რადგანაც, ფოთის გარდა, ბაზარი არ მოიპოვება. ამასთანავე ის ფასი, რომელსაც მყიდველები იძლევიან, იმდენი არ არის, რომ გაყიდვად ღირდეს.

სიმინდის შემდეგ გურულის შემოსავლის საიმედო წყაროს მეაბრეშუმეობა შეადგენს, მაგრამ ის პრიმიტიული წესი ჭიების მოვლა-კვებისა, რომელშიაც უმრავლესად სწარმოებს დღეს გურიის მეაბრეშუმეობა, კარგს ვერას უქადის ამ დარგს მრეწველობისას. ამასთან აბრეშუმის თესლი, გარდა იმისა, რომ ძვირად უჯდებათ მეაბრეშუმეთ, არ იძლევა იმის იმედებს, რომ ამავე დროს ის სალი მაინც გამოდგება.

ბ-ნმა ქუთათელაძემ შარშანდელ თავის საუბარში ზოგიერთი ცნობები გადასცა ხალხს ამის შესახებ. ვნახოთ რას გააკეთებს ამ მხრივ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

* * *

როგორც ვსთქვით, გურიის ნივთიერი კეთილ-დღეობა ვერაფერ ნუგეშს იძლევა. ერთად ერთი დარგი, სადაც გურულები თითქოს კვალს ამჩნევენ და ცდილობენ, სხვას თუ არ გაუსწრონ, მაინც არ ჩამორჩნენ, არის კულტურული დარგი, მაგრამ აქაც ბევრს ვერაფერსა ნახავთ სანუგეშოს. მაგალითად ავიღოთ ქალ. ოზურგეთი და მისი ჭირისუფლები, რამდენი რამ არის გასაკეთებელი ოზურგეთში, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი?

დრამატიულ საზოგადოების დაარსება, სცენის მოყვარეთა წრის შედგენა, სათეატრო შენობის აგება, წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილების გახსნა, აფთიაქის გახსნა, აი რა საკითხები დასტრიალებს თავს დღეს ოზურგეთს.

გურიის თამამად შეუძლიან იამაყოს, რომ სწავლა-აღზრდის საქმეს ბეჯითად მისდევს და ამ მხრით ტოლიც კი არა ჰყავს. სკოლების რიცხვი აქ დღეს იმდენად გაიზარდა, რომ ლამის საყოველთაო სწავლის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ასეთია სკოლების მდგომარეობა გურიაში რაოდენობის მხრით. მხოლოდ თვისებითი მხარე სკოლებისა კოჭლობს და აქ მოქმედობს ერთი და იგივე მიზეზი, რომელიც არ იძლევა სალ პედაგოგიურ შეხედულების გატარების საშუალებას. სრულიად საქართველოს სკოლებში. უმეტეს შემთხვევაში დირექტორ-ინსპექტორების ან მეთვალყურეთა პირადი სურვილისა და გემოვნების თანახმად სწარმოებს პროგრამის აღსრულება გურიის სკოლებში. ცნობილია, რომ აქაურ სკოლებში ენკენისთვის პირველიდანვე იწყებენ ლექსიკურ განყოფილების გავლას და წლის ბოლოს ჩვენი პაწია ბალღები თუთიყუშივით იმეორებენ რუსულ სიტყვებსა. კიდევ მეტი. მასწავლებელთ აიძულებენ, რომ წლის ბოლოს პირველ განყოფილების მოწაფემ უკვე წერა-კითხვაც იცოდეს რუსულად. რასაკვირველია, მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ინსპექტორ-მეთვალყურეთა პირად გემოვნებას გვერდს უვლიან, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი მდგომარეობა, როდესაც უფროსები სარევიზიო ნაწერებში შენიშვნებს უკეთებენ—ეს ამბავი ხმიანდება, მცხოვრებლებიც ტყობილობენ, რომ ჩვენი მასწავლებელი რევიზორს დაუწუნებიაო. ამის შემდეგ იმათ ორმაგ დაბრკოლებასთან აქვთ საქმე: ერთის მხრით უფროსებთან, მეორე მხრით კი ხალხის უცოდინარობა-შეუგნებლობასთან. ხშირად მესამე განყოფილების მოწაფე ჩათვლით კითხულობს. აქედან ცხადია, თუ რა გაჰყვება მას ცხოვრებაში. საჭიროა ამ გარემოებას ნათლად ჩაუკვირდნენ გურიის მასწავლებლები, თორემ ის არა კმარა, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელო შემოვიღეთ. ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო კარგია, მაგრამ მაშინ მხოლოდ, როდესაც ის მეთოდიურად, დალაგებით, თავის დროზე გადაეცემა მოწაფის ნორჩ გონებას, ენკენისთვიდან იმის დაწყება კი მიუტევებელი დანაშაულია, რომელსაც, სხვა რომ არა იყოს რა, განსვენებული გოგებაშვილი მაინც არ აპატიებდა გურის მასწავლებლებს.

Duo.

ქართული ლექსიკონი

ილია ჭყონია. სიტყვის-კონა.

ჯერ ისევ ნეტარ ხსენებული ილია შეუდგა ზრუნვას ხალხურ სიტყვიერებიდან სალექსიკონო მასალის შემოსაკრებად. მის „ივერიაში“ მრავალი ამგვარი მასალა დაიბეჭდა. შემდეგ ჩვენც გამოვეცით საკმაო მასალა, დაშთენილი საინგილოში, და აგრეთვე შემოკრებილი ისტორიკოსის გორგიჯანიძის მიერ. ამავე საგნის შესახებ მეცადინეობა არ დაუკლია ევ. კირიონს, ძმ. რაზიკაშვილებს და სხ. ამ მასალებიდანა და აგრეთვე თავისით ჩაწერილებისაგან ილია ჭყონიამ გამოსცა ცალკე წიგნაკი „სიტყვის-კონა“, რომელშიაც 1500-ზე მეტი სიტყვაა.

სიტყვების ჩაწერა სხვათა პირით სახიფათო საქმეა, უფრო მეტად, თუ ესეთი პირები განათლებას მოკლებულ არიან; სინამდვილეს, ხშირად, ვერ გადმოგვცემენ არა თუ ესეთი პირები, არამედ თვით დრო-გამოშვებით გამოცემებიც: **გაცს** კაცად დაუბეჭდავენ*), ჩლუნგს **ჩლინგად**, მაჰქატელას **მაჩხატელად** და სხვ., მოდი მერე და ესეთის მართლ-წერით გადიწერე ლექსიკონში ამ გვარი სიტყვები!

ერთგან ჩვენს წერილში „ზაქართალა“ დაიბეჭდა **ზაქართამა-დ** („სავაჭრო გზა“, 1908, № 23). იგივე შეცდომა „ზაქართამა“ გადმოწერილია „სიტყვის კონაში“ იმავე გაზეთის №-ის ჩვენებით.

ინგილოური მაჰქატელა, საბას მაჩქათელა მღაბიობი, „სიტყვის-კონაში დაბეჭდილა მაჩხატელა-დ!

მე-5 გვერდზე სწერია „**ბაქთაში**“ და იქვე მიწერილია თურქულად: „ტაშ“ ქვა, ხოლო „ბაქ“ დატოვებულია აუხსნელად. და მე-31 გვერდზედ კი სიტყვის **მალას** ახსნაში ნახმარია „**ბათქაში**“. ბაქთაში თუ ბათქაში! ჩვენ ეს უკანასკნელი სწორე გვგონია. ასე იხმარება ყველგან საქართველოში. იგი თათრ. **ბათქაში** სქელი სითხე, და მას არავითარი მონათესაობა არა აქვს თათრულ და ოსმალურ სიტყვასთან ტაშ-ქვა.

თოქალთო ქართულად სწორედ ახსნილია, მაგრამ რუსული კი სულ სხვას გვეუბნება: „ოსმალ. თექალთი подушки на сѣдлѣ“. ნამდვილად თათრ.-ოსმალური თექალთი ანუ თექა-ალთი=ნაბადი ქვეშეთი.

მე-47 გვ: „**სირონი** (ქარ. გურ.) (=სინორი=гурец. синор граница) საზღვარი“. ოსმალურს კი არ უდრის ქართული, არამედ ბერძნულს σύνορος =იონიური σύνουρος სამიჯნო, სასამზღვრო მომიჯნავე. ოსმალურშიაც ბერძნულიდამ შევიდოდა, რაღა თქმა უნდა.

მე-51 გვ. „**ტოლუმ-ბაში**“ (ქართლ.) (ოსმალ. ტოლუმ ბაში (Глава, начальникъ, бурдюка), თამადა“. ნამდვილად კი სიტყვა თათრულია. ტოლუ ანუ დოლუ სავსე, ბაში თავიანი, თაოსანი; ტოლუ-მ-ბაში ანუ ტოლუნბაში უფლებით სავსე, თაოსანი, სავსებისმქონი.

„**ალაია ორ წყებად**“... სწორედ არის განმარტებული, მაგრამ უნდა დამატებულიყო თათრული „არაია ქეჩტურმალი“ = ალაიაში გატარება.

ბოლქვა სწორედ განმარტებულია, ხოლო ბოლუქ-ბოლუქი ოსმალური კი არა, თათრულია: Бёлукъ-бёлукъ დას-დასად, ჯგუფ-ჯგუფად. Бёлукъ ჯგუფი, დასი, ბოლუქი = ბოლქვა.

ჭარი შეძლება, ღონე ეტოლება არა სომხურს ჭარს средство, არამედ თათრ. ჩარა. ჭარი არა მაქვს = ჩარა არა მაქვს = ჩარაუმ ჲხტურ.

კაპი სომხ. სიტყვა არ არის. იგია ქართ. **კავი** ზმნიდამ კავება, დაკავება. შეად. აგრეთვე კავშირი, ინგ. კავლდ.

„**ახაკი**... ср. древне-груз. ჰასაკი, армян. ჰასაკ“. ძველი ქართული რა სახსენებელია, როდესაც დღესაც იხმარება იგივე ჰასაკი! შედარებაზე რომ მივარდა საქმე, ქართულიც, (ასაკი = ჰასაკი) და სომხურიც უნდა შედარებულიყო თავდაპირვანდელ თათრ. ძირთან яшъ წლოვანება, ჰასაკი. яша იასაკე, იდღეგრძელე! яшасун! იდღეგრძელოს! მრავალ ჟამიერ!

„**ყასავათი** ყაირათი, დაზოგვა, ხელის მოჭერა“ არაბული „ყასავათ печаль“ კი არ არის, არამედ ყაზავათი ჭირნახულობა, დაზოგვა, ყაირათი, შრომა, რუდუნება, ქველობა.

დორანი იგივე თათრული дёвран-ია: „ნა დევრანა დიუშდუხ“=რა დორანში ჩავცვივდით.

„**ლეთემი** საფლობი, ჭონჭყო მიწა“ უნდა დატოლებულიყო მეგრ. სიტყვასთან **ლეტა**=ტალახი: ლეტამი ტალახიანი.

ოდოში ახსნილია ორის სიტყვით: „ნახევრად უმწიფარი“. ასეთ განმარტებას მთელის სიტყვის გამოკლება სჯობდა. „ნახევრად უმწიფარი“ ვერას ხსნის. ოდოშს საინგ. უწოდებენ შემოუსვლელ ყანას: სთიბვენ, წვრილ-წვრილ ბოშაყებად ჰკვრენ, ცეცხლის ალზე ტრუსავენ თაველებს, ფშვნეტით მარცვლებს აყრევინებენ და სჭამენ, ანუ ბრინჯთან ერთად ხარშავენ და „ოდოშიანს ფლავს“ აკეთებენ. **ჩუბინაშვილით**: „ოდოში, ეტერი პურის მოსავალთა, სიმინდთა, ცერცვთა ან ხის მოსავალთა. ჯერედ შემოუსვლელი“. **საბა**: „ოდოში. ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცვთა, სიმინდთა და ეგევითართ და დაუჟამებელსა და სისიმაგრე ნაკლებსა ოდოშს უწოდენ, ხოლო ყანათასა—ეტერსა“. ამ უკანასკნელს ჩვენ ვადარებთ სვან. **დიარ** პური, მეგრ. **დიარუა** ძოვა, **ოდიარე** სამძოვარი.

ჩირეხი არის იგივე ინკ. ჩირაღი, თათრ. ჩირაღ, ლევ. ჩირაღ, ქართ. ჭრაქი.

აბრუ-ს კავშირი უნდა ჰქონდეს, ჩვენის ფიქრით, არა სპარსულთან, არამედ თათრ. სიტყვასთან **აბურ** ღირსება, ნამუსი, სახელი. ასევე იხმარება ინგ. აბური, აბურიანი. თათრ. აბურრუ, აბურსუზ = აბურიანი, უაბურო.

ჩვენის ფიქრით, იმ გვარი მასალა, რომელიც შემოუკრებია პატივცემულ ილია ჭყონიას, უნდა მოგროვდეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, უნდა მოგროვდეს საქართველოს ყოველის კუთხიდან, აქ შემუშავდეს, შესწორდეს, დაიბეჭდოს ამავე საზოგადოების გამოცემებში, სრულიად შეუდარებლად ოსმალურ, სომხურ, არაბულ და სხ. უცხოურ ენების სიტყვებთან: ამგვარ შედარებისთვის ჯერ არც საკმაო მასალაა და არც ძლიერი მიუდგომელი ძალა. საისტ. და საეთნ. საზოგადოებაში თავს იყრის მრავალი ქართველი ჩვენის ქვეყნის ყოველ მხრიდამ და ამიტომაც აქ მხოლოდ შეიძლება სხვა და სხვა პირთა მიერ ჩაწერილ სიტყვების შესწორება და ნამდვილ სალექსიკონო მასალის [illegible]. ამავე აზრით, საინგილოში შეძენილი მასალა ჩვენ ამავე საზოგადოებას გადავეცით იმ იმედით, რომ რაც ჩვენ სწორედ ვერაგვიხსნია, ვერ ჩაგვიწერია, იმას თავის დროზე სხვები ახსნიან.

ყოველ შემთხვევაში, დიდ მადლობას ვწირავთ ბ. ილია ჭყონიას მოძღვნისათვის იმისთანა მასალისა, რომელიც, შემუშავდება რა ადგილობრივ და შესწორდება, შეიძლება მერე, უსწორ-მასწორო შედარებებ გამოკლებით, ქართულს ლექსიკონშიაც შევიდეს. **მ. ჯანაშვილი.**

---

*) ასრე დაიბეჭდა „ივერია“-ში: **გაცი**. გაცი **კაცად** გასაღდა და ამან ჩვენ ბევრი უსიამოვნება მოგვაყენა.

ლენის ამბები

ბოდაიბოდან მუშათა დამცველი ვექილები შემდეგს იტყობინებიან:

„მაღაროებში ნორმალური ცხოვრების აღდგენის იმედი არაა, რადგან მუშათა მონაწილეობით აღთქმულ კომისიას, რომელსაც ახალი ხელშეკრულობის პროექტი უნდა შეედგინა, აღარ იწვევენ.

სენატორ მანუხინის სურვილის თანახმად მუშებს შეაქვთ წერილობითი მოხსენებანი გაფიცვის მიზეზების შესახებ. მუშათა მოთხოვნილებანი ყოველ მაღაროდან ცალკე იქნება მიღებული. მათ არა ერთგზის წარუდგენიათ ეს მოთხოვნილებანი, რომელთა ხელ-ახლად წამოყენებას საჭიროება არ მოითხოვს, ამიტომ მუშები შიშობენ — ეს იმის მომასწავებელია, რომ დაპირებულ კომისიას აღარ მოიწვევენ და ხელშეკრულობაც უჩვენოდ იქმნება შემუშავებულიო.

ლენის ამხანაგობის პეტერბურგელ დირექტორთა მოსვლამ ვერ შესცვალა მაღაროების ადმინისტრაციის მოქმედებათა ხასიათი. ფეოდოსიის მაღაროში კვლავ ცდილობდნენ ხელოვნურად გაფიცვის გამოწვევას; გამოირკვა, რომ ამ საქმეში ამხანაგობის ადმინისტრაცია ღებულობდა მონაწილეობას. მუშათა დატუსაღებული წარმომადგენლების განთავისუფლება არ მოხერხდა, თუმცა დამტკიცებულია, რომ 123 და 125 სტ. მათ სრულიად არ ეხებათ.

ამავე დროს სასამართლოს წარმომადგენლები საჭიროდ არა სთვლიან 4 აპრილის სისხლის ღვრის დამნაშავეთა მოქმედების გამოძიებას. არც ცახოცილ მუშათა გვამები იქმნა შე-

ევროპიელებულნი არიან, მათ და რუსის ხალხს შორის საუკუნოებით გათხრილი უფსკრულია, ისინი თავის ხალხის სულის შვილნი არ არიან, ხალხს მათი არაფერი ესმის. ინტელიგენცია რუსებისა ძლიერია სულით, მაგრამ იმ დრომდე, სანამ წამების გვირგვინს ატარებს. წამება, ტანჯვა, ეს სლავიანთა სულის თვისებაა! ხოლო შემოქმედების დრო თუ დაუდგა ამ ინტელიგენციას, ისეთივე უძლური იქნება, როგორიც უძლურია რუსეთის მმართველი წრე...

ბევრს ვეკამათებოდით დომბროვსკის, ვუმტკიცებდით, რომ რუსის ხალხი მხოლოდ ეხლა გამოდის მომქმედ ძალად და ვერავინ იტყვის, რა ძალას გამოიჩენს, და სხვა, მაგრამ ყოველთვის ახალ-ახალს, მასალას, ნახევრად პარადოკსალს, მოსაზრებათა და მაგალითებს გვაყრიდა თავზე და მტკიცედ იცავდა თავის პესსიმისტურს შეხედულებას... უნდა შევნიშნო აქ, რომ ერთი წლის წინად კრებულს „ზნანიეში“ წავიკითხე რუს ახალგაზდა ბელეტრისტის ზოლოტარევის მოთხრობა ციმბირში გადასახლებულთა ცხოვრებიდან და იქაც წავაწყდი მოხუც პოლონელს, რომელმაც ძალიან მომაგონა დომბროვსკი. ხოლო 1910 წელს, უკვე მეტეხის ციხეში კვლავ შემხვდა ახლა კი რუსი, იმავ შეხედულებისაა სლავიანებზე... ეს თვით უარყოფაც სლავიანურ თვისებად შეგვეძლო ჩაგვეთვალა, სხვა მაგალითები რომ არ ვიცოდეთ,—სახელდობრ, მაგალითები თვითგანდიდებისაც. მაგრამ ამ თვითგანდიდებას სლავიანთა მოაზრენი მთელს რასსაზე როდი ავრცელებენ. მაგალითად, მიცკევიჩი დარწმუნებულია, რუსები მონობის ხალხია და არავითარი მომავალი აქვსო. ხოლო პოლონელებმა კაცობრიობა უნდა იხსნანო პირიქით, რუსის სლავიანოფილები კაცობრიობის მხსნელად მარტო რუსებს აღიარებენ...

პირველი ორი წელიწადი უსტ-კამენოგორსკში ცხოვრებისა იყო თითქმის გაგრძელება სტუდენტობის დროისა: ვმეცადინეობდით, ხშირად ვიკრიბებოდით, ვკამათობდით და სხვა. თითოეულს ჩვენგანს ჰქონდა პატარ-პატარა საკუთარი ბიბლიოთეკა სამეცნიერო წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა, ზოგი იწერდა ახალ წიგნებს, ზოგს ჟურნალები მოსდიოდა. ქალაქში, რასაკვირველია, არც ბიბლიოთეკა მოიძებნებოდა და არც მაღაზია. ასეთ მიყრუებულს ადგილს და იმ მცირე საშუალებით, რომელიც გვქონდა, სისტემატიურ განათლება-განვითარების ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ორ წელიწადს, როგორც ვთქვი, ნაყოფიერად ვმუშაობდით. მე დავეწაფე ისტორიის, საპოლიტიკო ეკონომიის, სოციოლოგიის საზოგადოდ. ხანდახან რეფერატებს ვწერდით და ვკამათობდით. სხვათა შორის, ჩვენამდე მოაღწია პლეხანოვის ცნობილმა წიგნმა „ჩვენი უთანხმოებანი“, რომელმაც ჩვენს წრეშიაც დიდი ალიაქოთი მოახდინა. იყო დაუსრულებელი კამათი კაპიტალიზმსა, თემის მნიშვნელობაზე და სხვა. მე პირადათ წინადაც არა მწამდა ნაროდოვოლცებისა და ნაროდნიკების მოძღვრება თემის მნიშვნელობისა და რუსეთისთვის ბურჟუაზიულ ხანის აცილების შეძლებისა; ამიტომ პლეხანოვის ბროშიურის შემდეგ შევუდექ ისევ მარქსის კითხვასა და საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის უფრო ბეჯითად შესწავლას.

ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ რუსეთიც უნდა დამორჩილებიყო იმ ევოლუციას, რომელსაც განიცდის დასავლეთის ევროპა ფეოდალურ წესწყობილების დარღვევის შემდეგ, იმასაც უნდა განევლოს კაპიტალისტური ხანა, სანამ მიაღწევდეს სამართლიან სოციალურ წესწყობილების სანეტარო ჟამს. მაგრამ ამავე დროს, ვერ ურიგდებოდი იმ მოძღვრებას, რომელიც რუსეთის მუდამ მშიერსა და ღატაკ გლეხობას წვრილ ბურჟუაზიად აღიარებდა და სათვალავში არ იღებდა, როგორც მომქმედ ელემენტს ახალი წესწყობილების მომზადებას და შექმნის საქმეში. მე ვერ ვურიგდებოდი აზრს, თითქო რუსეთისა და სხვა ჩამორჩენილ, ჯერ კიდევ მიწათმომქმედ ქვეყნებისათვის საჭირო ყოფილიყოს უთუოდ, მთელი გლეხობა „ფაბრიკის ქვაბში გამოხარშულიყოს“ და მხოლოდ ამ მეტადგრძელ და სასტიკ ევოლუციის შემდეგ ყოფილიყოს შესაძლებელი განხორციელება სოციალური რეორგანიზაციისა. ამ ამოცანის ახსნელად მივმართეჰნდი ჯორჯის თხზულებებს, (ხელთნაწერები გვქონდა—რუსულ თარგმანები ზემოხსენებულ ვატსონისა და მეორე პოლიტიკურ გადმოსახლებულის კონშინისა), მაგრამ ამათაც ვერ დამაკმაყოფილეს. ამიტომ იმ ხანებში მე ჩემთვის შევქმენ ასეთი „კონცეპცია“: ჩამორჩენილი ქვეყნები თავისთავად ვერ მიაღწევენ სოციალურ თანასწორობის ხანას; ისინი მზად უნდა იყვნენ კულტურით იმ დროისთვის, როცა მომავალი წესწყობილება დასავლეთ ევროპაში დამყარდება, მაშინ ასსიმილიაციის გზით ეს ქვეყნებიც შეითვისებენ ახალ წესწყობილებას. ხოლო საკულტურო მომზადებასა და ბურჟუაზიულ ხანის მარჯვედ განვლისათვის საჭიროდ მიმაჩნდა საპოლიტიკო თავისუფლება რუსეთისა და ამიტომ საპოლიტიკო პრობლემას უმთავრეს ადგილს ვაკუთვნებდი.

ჩემმა ასეთმა მაშინდელმა „მსოფლიო მხედველობამ“ სულით დამაშორა უსტკამენოგორსკელ რუს ამხანაგებს, რომელნიც მტკიცედ იდგნენ ნაროდნიკების საეკონომიო პროგრამაზე, რომელთაც შეურყევლად სწამდათ, რომ თემი და არტელი სასწაულს მოახდენდა და რუსეთს, ახლანდელ ხანიდან, პირდაპირ სანატრელ სამეფოში გადაასკუპებდა.

მაგრამ ამ მიზეზის გარდა იყო კიდევ ერთი გარემოება, უფრო რომ მაშორებდა რუს ამხანაგებს. ეს იყო ერთა საკითხი რუსეთში და მათი გულისთქმა ამ, ჩემთვის მწვავე სფეროში... როგორც მოწინავე იდეალების ადამიანთ, მათ, რასაკვირველია, პირზე ეკერათ „თვითგამორკვევის უფლება“ ყოველ ერისა, მაგრამ ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ეს „თვითგამორკვევა“ როგორც მეტად განყენებულად და ბუნდოვნად ესმოდათ. ხორცი არ ჰქონია შესხმული ამ მცნებას და მკვდარ ფრაზად რჩებოდა. ეს მცნება მათთვის რაღაც დოგმა იყო მეტაფიზიკურ ბუნებრივ უფლებისა, ხოლო როცა იმის რეალურ მნიშვნელობასა და შინაარსის გამორკვევას შევუდგებოდი და შევეცდებოდი, ჩემ რუს ამხანაგთ როგორღაც უეცრად უქრებოდათ ინტერესი საკითხისა ან არა და, ჩემის შეხედულებით, დიდს შოვინიზმს იჩენდნენ. პოლონელთა და ფინლანდიელთა შესახებ კიდევ გამოიჩენდნენ ხოლმე მოწყალეობას და სრულ საპოლიტიკო თავისუფლების ღირსადა სთვლიდნენ, მაგრამ სხვა ერების შესახებ დიდი ყოყმანი ეტყობოდათ. საზოგადოთ კავკასიასა და კერძოდ საქართველოზე რომ ჩამოუგდებდი ლაპარაკს, უმეტეს შემთხვევაში ცდილობდნენ სიტყვა ხუმრობის ბანზე აეგდოთ...

დიდი შეტაკება მომდიოდა მათთან ყირგიზების გამო. როცა მთავრობა ციმბირის რკინის გზის გაყვანას შეუდგა, დაკანონებულ იქნა, რომ რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე ორთავე მხარეს ასი ვერსის მანძილზე მიწა უნდა გაენთავისუფლებინათ „ინოროდცების“ მოსახლეობიდან და სარგებლობიდან და რუს გლეხების დასასახლებლად უნდა დაემზადებინათ. ამ განკარგულებას დიდ განსაცდელში ჩაეგდო აკმოლინის ოლქის ყირგიზები. ამასთანავე იმ ხანებში დიდძალი რუსი გლეხი მიდიოდა შიდა გუბერნიებიდან აკმოლინის და სემიპალატინის ოლქებში და ყირგიზები იძულებულნი იყვნენ საუკეთესო საძოვარი ადგილები დაეტოვებინათ და ხრიოკ მთებისაკენ დაწეულიყვნენ. ესეთი განსაცდელი ყირგიზებისა დიდათ მაღელვებდა, ჩემი რუსი ამხანაგნი-კი სრულებით გულგრილად იყვნენ, ხოლო ზოგი ამართლებდა კიდევაც სასტიკ მოვლენას: სულ ერთია, ციმბირის „ინოროდცები“ ისედაც გადაგვარებისა და მოსპობის გზას ადგიანო და სხვა ამგვარს მოჰყვებოდნენ ხოლმე.

ეს და წინანდელი ურთიერთობა საუკეთესო რუს ახალგაზდობასთან, სხვა დაჩაგრულ ერთა ისტორიის გაცნობა, ის ამბები, რომელიც ყრუდ მომდიოდა სამშობლოდან თან და თან უფრო და უფრო მაგრძნობინებდა იმ გარემოებას, რომ გადაქარბებულ იმედებს ვამყარებდი რუსთა მოძრაობაზე ჩვენი ქვეყნის კეთილ დღეობისათვის. ჩემთვის ცხადი ხდებოდა, რომ უმთავრესი მნიშვნელობა ერის თვითმოქმედებას აქვს, თვით დაჩაგრულმა ერმა უნდა შექმნას, განავითაროს თავისი შინაური ძალა, რათა უფლება მოიპოვოს, საჭიროა თავისი, საკუთარი ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც ამასთანავე, რასაკვირველია, ბევრი რამ ექნება საერთო რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობა—ბრძოლასთანა... ეს ამჟამად თითქმის ტრუიზმი გახდა, მაგრამ იმ ხანებში საუკეთესო ქართველ ახალგაზდობისათვის ჯერ კიდევ თავსამტვრევი საკითხი იყო. გაუგებრობის ასაცილებლად უნდა ვსთქვა, რომ არც მე, არც, საზოგადოთ, ჩემი დროის ახალგაზდობას ეროვნული საკითხი არასოდეს არ უარგვიყვია, მაგრამ ბევრი ჩვენგანი ამ საკითხს უქვემდებარებდა, უმორჩილებდა რუსეთის საერთო საპოლიტიკო საკითხს, რომლის გადაწყვეტაში ვხედავდით ჩვენი ეროვნული მისწრაფების მიღწევის თითქმის ერთად ერთ საშუალებას. ასეთ ყოფაში იყო მაშინ ჩემი სოციალურ-საპოლიტიკო მსოფლიო მხედველობის გამორკვევის საქმე; ხოლო როგორი ეტაპები გაიარა ამ საქმემ შემდეგში და რა გზაზე დამაყენა, ამას უფრო დაახლოვებით შემდეგში უნდა დავუბრუნდე.

გ. ლასხიშვილი.

(შემდეგი იქნება).

მოწმებული, თუმცა მომხდარი ამბების სურათის ცხადსაყოფად ეს უსაპიროესი რამ იყო. სავალდებულო გამოძიების გზის გადახვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს." (რ. ს.)

უცხოეთი

ჩინეთის ამბები

ჩინეთის ახალი რესპუბლიკა კვლავ საშიშ მდგომარეობას განიცდის. ვერც ჩრდილო პროვინციების შემოერთებამ, ვერც საერთო პრეზიდენტის არჩევამ და ვერც საკანონმდებლო კრების პეკინში მოწვევამ ვერ დაამყარა ყველასათვის სანატრელი მშვიდობიანობა. სამხრეთში კვლავ იწყება სერიოზული ამბოხება, რომელიც მიმართულია პრეზიდენტის იუანშიკაის ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ. ამავე დროს ვითარდება განცალკევების მიდრეკილება არაჩინურ პროვინციებში. მთავრობის გავლენა დღითი დღე ეცემა, რისი დამამტკიცებელიც მანჯურიაში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბებია. მთავრობა, რომელიც თავიდანვე არ ჰფარავდა სახელმწიფოს გაჭირვებულ მდგომარეობას, ყოველი უბედურობის მიზეზად ფინანსების სისუსტესა და უფულობასა სთვლის. რესპუბლიკანელთა ფართო პლანები და გამუდმებული კრიზისი ძლიერ დიდ ფულს თხოულობს, რომლის შოვნაც ადვილი საქმე არ იყო იუანშიკაის მთავრობისათვის. მაგრამ ეს დაბრკოლებაც დაძლეული იქმნა და ამ დღეებში ევროპა—აზიის ბანკთა სინდიკატმა კიდევაც გაანაღდა ნახევარი მილიარდი მანეთის სესხი. მაგრამ, რადგან ამ სესხის ოპერაციას სარჩულად, როგორც ყოველთვის, დაინტერესებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური თვალსაზრისი უდევს, სინდიკატმა სესხის მიცემის ერთ უმთავრეს პირობად ჩინეთის ფინანსების ფაქტიური კონტროლი დაისახა; ამასთან მანვე უნდა ადევნოს თვალ-ყური ნასესხები ფულის დახარჯვას. ცხადია, საქმის ასე დაყენება სინდიკატისაგან ჩინეთის ფინანსიურად დამოკიდებულებას გულისხმობს, რაიცა იქიდანაც ჩანს, რომ სესხის, ერთმა მონაწილე სახელმწიფომ აშკარად გამოსთქვა სურვილი, რათა სესხის უუმცირესი ნაწილი მოხმარდეს სამხედრო რეფორმის საქმეს.

ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს, თუ კვლავ დაწყობილ მღელვარებაში სესხის საკითხის ამგვარ მიმდინარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთავრობას, ალბად, არ შეუძლიან და არც სურვილი აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ხალხის საერთო სურვილს და ამიტომ იგი ჯერ-ჯერობით მტკიცედ ადგია ჩინეთის დამოუკიდებლობის პრინციპს, როგორც ფინანსიურის, ისე პოლიტიკური მხრით. მაგრამ მეორეს მხრით, სესხის აუღებლად მას მიმდინარე საქმეების გაძღოლაც კი არ შეუძლია. როგორ დასასრულს მიიღებს ეს გართულებული კრიზისი, წინდაწინვე ამისი თქმა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩინეთის ვითარება ერთხელ კიდევ გამწვავდება იმდენად, რომ კვლავ თავს წამოჰყოფს შორეული აღმოსავლეთით დაინტერესებული სახელმწიფოების ნება-სურვილი ამა თუ იმ ზომების საკარნახოდ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

21 ივნისი.

ინგლისის პალატა.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლორდმა ელბურნმა ილაპარაკა იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც ვითომ მოელის ინგლისის საზღვაო ძალებს ხმელთა შუა ზღვაში. ხმელთა შუა ზღვის მნიშვნელობა სუეცის არხზე არ არის დამოკიდებული, რადგან ამ არხის გაყვანამდე ინგლისმა ყურადღებად მიიჩნია ხმელთა შუა ზღვა და ბევრი მსხვერპლიც შესწირა ჯიბრალტარისა და მალტის შესაძენად.

მიწის ძვრა.

რომი. აპულის ბევრ ადგილს დიდი მიწის ძვრა იყო.

ავსტრია-ჰუნგრეთი.

ვენა. დეპუტატთა პალატა. სალამოს სხდომაზე დიდი კამათი და შეხლა-შემოხლა მოუვიდათ გერმანელებსა, ჩეხებსა და სამხრეთის სლავიანთა დეპუტატებს პრაგაში მომხდარ ამბის გამო. ნაციონალ-სოციალისტებმა სტრიჟბორიმ და ბურგევალმა აღნიშნეს, გერმანელი სტუდენტები პროვოკაციის მიზნით გამოვიდნენ ქუჩაში, სადაც ბევრი აღელვებული ჩეხელი იყო. ბოგემიის გერმანელმა ლესდმა უპასუხა, გერმანელ სტუდენტობას ნუ შეურაცხჰყოფთ, სლავიანებმა პროცესია რომ გამართონ, გერმანელები სოროებში რისთვის უნდა ძვრებოდნენო.

სპარსეთის ვითარება.

თავრიზი. 600 შაჰსევანმა თავრიზს ახლო გაიარა, შაჰსევნები მარაგისკენ გაემართნენ. მათა ჰსურთ ქალაქი გაძარცონ და ციხიდინ გაანთავისუფლონ ორი ყაჩაღი ხანი.

ჩინეთის ამბავი.

პეკინი. იუანშიკაის ბრძანებით ულიასუთაის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა მთავარი ნაიენტუ.

შანჰაი. ჩინეთის პრესსა ძლიერ დიდ აგიტაციას ეწევა სუნიაოზენის საწინააღმდეგოდ. აღნიშნავენ, შანჰაის დუდუს თანამდებობა უსარგებლოა, უნდა მოვსპოთო.

მუკდენი. პალატის დადგენილებით გირინისა და ციციკარის დუდუს შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა მიანიჭეს. სამხედრო და სადიპლომატიო მხარე საქმისა მუკდენის დუდუს ხელში იქნება.

რუსეთის და გერმანიის მეფეთა შეხვედრა.

ბერლინი. აქაურები რუსეთისა და გერმანიის იმპერატორთა შეხვედრას დიდ საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენ. საზოგადოდ კი პრესა ძალიან ფრთხილად ლაპარაკობს.

პეტერბურგი. „როსსია“ გერმანიის იმპერატორის ჩამოსვლას სიამოვნებითა და სიხარულით ეგებება და სწერს: რუსეთისა და გერმანიის მეგობრობა უფრო განმტკიცდება და გაძლიერდება ამ შეხვედრის შემდეგაო.

რუსეთი.

იუშჩინსკის მოკვლის საქმე.

კიევი. სოლქო სასამართლოს სხდომამ მსაჯულის შუამდგომლობის გამო გადასწყვიტა: სამოსამართლო პალატას ვთხოვოთ გააუქმოს შუამდგომლობა ბეილის სამართალში მიცემის შესახებ და იუშჩინსკის მოკვლის საქმის ხელმეორედ გამოძიება დაინიშნოს.

ბოროტგამზრახველთა დაჭერა.

მოსკოვი. მაძებარმა პოლიციამ დაიჭირა სამი ბოროტგამზრახველი რომელთაც ვლადიმირის გზაზე შოფერი ბეხტიაევი და მექანიკი სავინოვი მოუკლავთ. დაპატიმრების დროს, მოთავეს თავის მოწამვლა უნდოდა, შემდეგ ფანჯარაში გადავარდა, მაგრამ პოლიციელებმა დაიჭირეს. დამნაშავეს ფეხი მოუტეხნია.

წერილი რედ. მიმართ

ვინ არ იცის, რა ღარიბია წიგნთსაცავ-სამკითხველოებით სამეგრელო! ჟურნალ-გაზეთი და წიგნები თითო ოროლა თუ იშოვება, ისეთს სოფლებშიაც კი, სადაც 700-800 კომლი მცხოვრებია. ამისთვის განვიზრახეთ ს. ხორშში, ორკლასიან სკოლასთან, სკოლის ზედამხედველ ბესარიონ გ. გვასალიას მეთაურობით, უფასო სამკითხველოს დაარსება, რის ნებართვა 30 მაისს მივიღეთ; მაგრამ რადგან უსახსრობა ძლიერ ხელს გვიშლის ამ კეთილ საქმის განსახორციელებლად, ვსთხოვთ, ვისაც საზოგადოებისათვის დახმარება ჰსურს, ფულით თუ წიგნებ-ჟურნალ-გაზეთებით დახმარება აღმოუჩინოს ამ ფრიად კეთილ საქმეს.

შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით:

Черезъ м. Хопи-Зугдидскій въ сел. Хорши. Попечительному совѣту Хоршинскаго 2-хъ классного училища.

დიმ. ი. გვასალია.

მ. ხ., ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გამოცემის „სახალხო გაზეთის“ საშუალებით გულწრფელი მადლობა შევწირო ელიზბარ და მარიამ კაჭარავას, რომელთაც რწმუნებულ ჩემდამო კორიცხელის ღვთისმშობლის ეკლესიას, საგანგებოდ შემოსწირეს ძვირფასი ვერცხლის ნივთები: წმიდა ბარძიმ-ფეხშუმი თავისი მოწყობილობით.

წინამძღვარი კორიცხელის ღვთის მშობლის ეკლესიისა, მღვდელი **გრიგოლ თოლორაია,**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზ. „სახალხო გაზეთი“-ს საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბ. გიორგი ალ. საბახტარიშვილს, რომელმაც შრომა გასწია და თავის ნაცნობ-მეგობრებში შეკრიბა ფული, ლანჩხუთის ღარიბ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ; აგრეთვე დიდ მადლობას ვსწირავთ იმათაც, რომლებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი ამ სიმპატიურ საქმისათვის. აი სიაც: ი. მეუნარგია 3 მანეთი, გიორ. საბახტარიშვილი 2 მ., ლუარსაბ ყრუაშვილი 1 მ., კაცია მელნაძე 1 მ., ნ. ცინცაძე 1 მ., იასონ ალექსიშვილი 1 მან., ვლად. გაგუა 1 მ., ნიკ. კვინიკაძე 1 მ., ლავრ. ტუღუში 1 მ., ლავრენტი წულაძე 1 მ; მიხა გვალია 1 მ; მ. ერკაია 50 კაპეიკი; ნოე ჟღენტი 50 კ. №№ (ს. ხ.) 50 კ. მიხ. დარახველიძე 50 კ; ნ. როსტომაშვილი 50 კაპ. გამყრელიძე 50 კ; იესე ქადეიშვილი 50 კ; იოს. კობრეიძე 50 კ; ილიკო ჩხარტიშვილი 25 კ; სულ 18 მ. 25 კ; ხარჯების გამორიცხვით მივიღეთ 18 მ.

პატივისცემით დ. ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს გამგენი: **მღ. ი. ჭყონია. თ. ნ. სიხარულიძე; ი. დ. ბარამიძე.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ „სახალხო გაზეთი“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ გიორგი დომენტის ძე მაჭარაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემ მიერ რწმუნებულ ალის სკოლას სხვა და სხვა ქართული წიგნი შეგირდებისათვის დასარიგებლად.

ალის ნორმალურ სკოლის ზედამხედველი **ნიკო თაბუკაშვილი.**

ჩვენ, ტფილისის სახაზინო პალატის მოხელეებმა, ჩვენს შორის შეკრიბეთ აქვე წარმოდგენილი ფული განსვენებულ ქართველ პედაგოგისა და უნგარო საზოგადო მოღვაწის **იაკობ გოგებაშვილის** ფონდის გასაძლიერებლად. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ამასთანავე ვადგენ მწუხარე და გულ ჩათუთქულ მოხელეთა სიას.

ევგენი კერესელიძე 2 მან.

თითო მანეთი: კონ. მალალაშვილი, სოფრ. ზედგინიძე ვას. მათურელი, ივანე გიგოლაშვილი, ზაქარ. ფორაქაშვილი, გირ. ტერიშვილი, მიხ. ფანჩულაძე, ნიკ. იოსელიანი, ვას. ბროძელი, ნიკ. ჯავახიშვილი, გიორ. ჯავახიშვილი, გიორ. გრიგოლაშვილი.

ათ-ათი შაური: ის. ღარიბაშვილი, მესტვირიშვილი, გ. ფაფერაშვილი, მოლოდინოვი, დავ. კორინთელი, ინჯია, ლევ. ქობულაშვილი, იოსებ ბოლოშვილი, ლუკა ანანიაშვილი, ვლად. კორინთელი, გალაქტ. ბერძნიშვილი და ანდრონიკაშვილი:

ლუკა ოსიტაშვილი, 30 კ. № 25 კაპ. ზაქ. გურბელაძე, 30 კაპ. პლატ. საყვარელიძე, 40 კ. კონ. თხილაძე 40 კაპ.

სულ ოცდა ერთი მანეთი და 65. კ.

კონსტ. მალალაშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია, რომ ვითომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამომცემელს ჩემთვის არა უკითხავს-რა ია ქუაძის ლექსებისა. ეს მართალი არ არის. გამომცემელმა მკითხა, ია ქუაძე, როგორც იწერება ექვით დუტუ მეგრელი და ნ. ლომაური, ილიას ფსევდონიმი ხომ არ არისო. მე უპასუხე, არა მგონია-მეთქი. თვით ლექსები-კი ია ქუაძისა, დაბეჭდილი 1904 წ. გაზ. „ივერიაში“, რომელიც მაშინ ჩემი რედაქტორობით გამოდიოდა, არც მე და არც კომისიას არ განგვიხილავს და ჩვენი აზრი არ გამოგვითქვამს. იმ დროს—ილიას „ივერიაში“ არა დაუბეჭდია რა. ეს მტკიცედ მახსოვს.

გრ. ყიფშიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სალ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საგარაკო** მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სალ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, სალ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სალ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საგარაკ.** № 76 a*, სალ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9/10 სალ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ე. ფომინა-იხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10, ტელ. 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. ი. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა

კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე სალ. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით სალ. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი და ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე სალ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით სალ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი რკინის გზის ბილეთისა და პლაცკარტებისა საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3, „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

ვისაც უხდება ყოფნა ხოლერიანებთან, სახადიანთან, ქუნთრუშიანთან, ყვავილიანთან, წითელიანთან, ათაშანგიანთან, მუნიანთან სხვასთან და მათს ტანისამოსთან, საცვლებთან ან მათ ნახმარ ნივთებთან, თუ ჰსურს რომ არაფერი გადაედოს და არც სხვას გადასდოს, ყოველთვის უნდა ხმარობდეს „№ 4711 სამკურნალო საპონს“.

ნამდვილი ცნობები თუ როგორ უნდა იხმაროთ იგი (რუსულად და გერმანულად) დაბეჭდილია და თანა სდევს საპნის ყოველ ნაჭერს.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონს“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია) „№ 4711 მდოგვის საპონს“ და „№ 4711 სულემას საპონს“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში—ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს არის თავდები, რომ საპონი კარგი ღირსებისაა.

M. 184057. (4—1217—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
ილებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან, ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(0—1253—74)

იყიდება ლიმონადის ქარხანა
„შვეიცარია“
ნაძალადევში
მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კვთიაშვილს.** (25—492—19)

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის
მელნები
ამხ. „ქიმიკოსი“. ქ. ტფილისი. მალაკნის ქ. № 16. (6.524.2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს [illegible] 2—3 ს. სალამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. [illegible] [illegible] გამბაშვილისა. [illegible]

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1074.83)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხეში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს. [illegible] ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. კირტუმოვი.** (ტ. 1037.6)

გამოცდილ მასწავლებელ ქალ-ვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტის, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**
მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუქნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—275—12)

საბანკო სახლი „ლ. ვ. ლანდაუ“ და ამხ.,
კავკასიის სააგენტო,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 65, ტელეფ. 11—77.
1 შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთების დაზღვევა გაბათილებისაგან, რომელიც უნდა 1 ივლისს მოხდეს.
12 მან. 25 კ.
(5.1324.3)

ვერა „ბალი ედემი“.
საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“.** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ალაგობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული. ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას. ყოველ დღე არის **„ცოცხალი თევზი“.** დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც. **ტელეფ. № 296.** პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**
(3.1344.3)

ყოველ-დღე
მოგვდის:
ახალ-ახალი ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი
(წ.—1131—88)

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა 12, სტამბა „შრომა“.